

□ ცენტრის მიზნები და ამოცანები:

- მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამუსიკო განათლება;
 - შეუქმნას მოსწავლეებს შესაბამისი პირობები პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის.
 - აზიაროს მოსწავლეები მუსიკალური ხელოვნების საფუძვლებს;
 - გააცნოს და შეაყვაროს მოსწავლეებს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიოს ხელოვნების ნიმუშები;
 - კონკურსების, ფესტივალებისა და სხვა ღონისძიებების საშუალებით გამოავლინოს და წარმოაჩინოს განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები;
 - იზრუნოს მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე, აქტიური და ინტელექტუალური მსმენელის აღზრდაზე.
-
- სკოლის სასწავლო პროცესის ორგანიზაცია, სწავლების შინაარსი და ხანგრძლივობა სწავლის შედეგებისა და მიღწევების შეფასების სისტემა განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმებისა და სასწავლო პროგრამების საფუძველზე.
 - სამუსიკო სკოლაში ხორციელდება შემდეგი დაწყებითი სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამები:
 - ა) საფორტეპიანო;
 - ბ) საორკესტრო;
 - გ) საესტრადო;
 - დ) კლასიკური გიტარა (ფასიანი პროგრამა);
 - ე) ქართული ხალხური საკრავები (ფასიანი პროგრამა).
 - მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამხატვრო განათლება (სწავლების ხანგრძლივობა შეადგენს 4 (ოთხი) წელს);
 - ხელოვნებასთან ზიარების თანაბარი პირობების შექმნით ხელი შეუწყოს პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებას, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას და ამ გზით მის შენარჩუნებას, გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას, გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას;
 - აზიაროს მოსწავლეები სამხატვრო ხელოვნების საფუძვლებს;
 - გააცნოს და შეაყვაროს მოსწავლეებს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები;
 - იზრუნოს მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე;
 - გამოუმუშავოს მოსწავლეებს სამყაროს მხატვრული აღქმის საკუთარი ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევები პრაქტიკული აქტივობის განვითარებით.